ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N2.9.19/10/117

ქ. თბილისი 04 ოქტომბერი 2016 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგეობა (შემდგომში – „შემსყიდველი"), წარმოდგენილი გამგებლის - გელა არჩვაძის სახით და, მეორეს მხრივ, შპს „ჯი ენ ელ", საიდენტიფიკაციო კოდი: 405008290, მისამართი: ქ. თბილისი, ბუდაპეშტის ქ. N6, ბ. N52 (შემდგომში - „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი დირექტორის - დავით ჯიმშელეიშვილის სახით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მათი გათვალისწინებით, შეთანხმდნენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობებზე და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე.

2.ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება, ხელშეკრულების ღირებულება, ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

2.1 ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია - **ქ. თბილისში, ნ. ბაშალეიშვილის I ჩიხი N10-ში ხანძრისაგან დაზიანებული სახლის კაპიტალური შეკეთების სამუშაოები,** რომელიც განსაზღვრულია ხელშეკრულებაზე თანდართული ხარჯთაღრიცხვით და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.
2.2 შესყიდვის საშუალება – **გამარტივებული შესყიდვა** („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის განკარგულება N2798 30.09.16 წ. **SMP160002599**).
2.3 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს - **19446,49** (ცხრამეტიათასოთხასორმოცდაექვსი ლარი 49 თეთრი) ლარს, ყველა გადასახადის ჩათვლით.
2.4 კლასიფიკატორის კოდი - **CPV 45453000.**
2.5 ხელშეკრულება ძალაში შედის გაფორმებისთანავე და მოქმედებს **2017 წლის 31 იანვრის** ჩათვლით.

3. სამუშაოს შესრულების პირობები

3.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების საბოლოო ვადაა **2016 წლის 19 დეკემბერი.**
3.2 მიწოდების ადგილი – **ქ. თბილისი, ნ. ბაშალეიშვილის I ჩიხი N10.**
3.3 სამუშაოების დასრულების შემდეგ მომწოდებელი ვალდებულია თავისი ძალებით და სახსრებით დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი მანქანა-მექანიზმებისაგან, მოწყობილობა-დანადგარებისაგან, მასალებისაგან, და ა. შ.

4.შესრულებული სამუშაოს ხარისხი და გარანტია

4.1 შესრულებული სამუშაოს ხარისხის საგარანტიო ვადად სწორი ექსპლუატაციის პირობებში განისაზღვროს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 2 (ორი) წელი.
4.2 ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი სამშენებლო სამუშაოების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედი და ხელშეკრულებით განსაზღვრული სამშენებლო ნორმებითა და წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და სტანდარტებს. მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოს ტექნიკურ ზედამხედველობას განახორციელებს ა(ა)იპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია" (მომსახურების ღირებულების ანაზღაურებას უზრუნველყოფს შემსყიდველი).
4.3 სამუშაოების დასრულების შემდეგ საგარანტიო ვადის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება რომ აღნიშნული წუნი

(ნაკლოვანებები, დეფექტი) გამოწვეულია უხარისხო ან/და არაჯეროვანი შესრულებით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას წუნი საკუთარი ხარჯებით.
4.4. თუ მიმწოდებელი ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებით მიღებული შეტყობინების შემდეგ არ შეასრულებს თავის ვალდებულებებს, შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებლისაგან მოითხოვოს დეფექტის აღმოფხვრის ხარჯი.

5.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება)

5.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს ნებისმიერ ეტაპზე ახორციელებს შემსყიდველი, ხოლო ტექნიკურ ზედამხედველობას ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია.
5.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგებლის მოადგილე - გიორგი ჯიქია, ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და პროგრამების განხორციელების განყოფილების უფროსი - გრიგოლ ტუღუში, მთავარი სპეციალისტები - იური გუბელიძე და ზაზა მეზურნიშვილი.
5.3 შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია მასალების გამოცდისათვის საჭირო სპეციალიზირებულ ლაბორატორიაში ჩაატაროს გამოსაყენებელი მასალების ხარისხის ყველა საკონტროლო ლაბორატორიული გამოცდები და შემოწმებები მათი გამოყენების ვარგისიანობაზე. ასეთ შემთხვევაში, სამუშაოების შესრულების დროს მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს გამოყენებული მასალების ლაბორატორიული დასკვნები და რეცეპტები, მათი ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ სტანდარტებსა და ნორმებს. მასალები უნდა ინახებოდეს დახურული წესით, გარდა იმ მასალებისა, რომელიც ნორმების მიხედვით ინახება ღია ცის ქვეშ.
5.4 იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვითონ შემსყიდველი.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
6.2 მიმწოდებელი ვალდებულია მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე წარმოადგინოს ექსპერტიზის დასკვნა შესრულებული სამუშაოს ღირებულების (ერთეულის ფასების) ფაქტიურ დანახარჯებთან შესაბამისობის შესახებ (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილების შესაბამისად. ექსპერტიზის მომსახურების ღირებულებას ანაზღაურებს შემსყიდველი ხარჯთაღრიცხვაში ამ მიზნით გათვალისწინებული ხარჯების ფარგლებში).
6.3 ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრული სამუშაოების მოცულობები შესაძლებელია შეიცვალოს, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების გათვალისწინებით, ხელშეკრულების 5.2 პუნქტით განსაზღვრულ პირებთან მიღწეული წინასწარი შეთანხმების საფუძველზე, რაზეც გაფორმდება შესაბამისი აქტი.
6.4 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე, ტექნიკურ ზედამხედველობაზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ წინარე ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.2 პუნქტში მითითებული პირები.
6.5 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
6.6 შემსყიდველი უფლებამოსილია შუალედური ფორმა №2-ის წარმოდგენიდან არაუმეტეს 28 კალენდარული დღის ვადაში, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული სამუშაოს მოცულობის და წუნდების მიზეზის მითითებით.
6.7 მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).

7. ანგარიშსწორება და ანგარიშსწორების ვალუტა

7.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.
7.2 ანგარიშსწორება მოხდება ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.
7.3 ხელშეკრულების 8.2 და 8.3 პუნქტების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ანაზღაურებამდე შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას ანგარიშსწორებაზე. ამ შემთხვევაში ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ შესაბამის ანგარიშზე დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის შემდეგ.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა, და გადახდის ვადები)

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.
8.2 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შესყიდვის ობიექტის (ნაწილის) მიწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში გადაუხადოს პირგასამტეხლო შემსყიდველს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
8.3 შესყიდვის ობიექტის (ნაწილის) მიწოდების ვადის 15 (თხუთმეტი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, რაც გამოიწვევს მიმწოდებლის დაჯარიმებას ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით და ხელშეკრულება ჩაითვლება შეუსრულებლად.
8.4 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობად ჩაითვლება აგრეთვე დავალებით გათვალისწინებული სამუშაოების (ნაწილის) არასრული მოცულობით შესრულება, თუ ამ მიზეზით შეუძლებელია შესყიდვის ობიექტის ექსპლუატაციაში მიღება. აღნიშნული გამოიწვევს მიმწოდებლის დაჯარიმებას ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.
8.5 მიმწოდებელის მიზეზით ხელშეკრულების არაჯეროვნად (შესყიდვის ობიექტის ნაწილის არასათანადო ხარისხით) შესრულების შემთხვევაში (თუ ამ მიზეზის მიუხედავად, შესაძლებელია შესყიდვის ობიექტის ექსპლუატაციაში მიღება), მიმწოდებელი დაჯარიმდება ხელშეკრულების საერთო ღირებულების 1%-ის ოდენობით.
8.6 საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისთვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში.
8.7 ხელშეკრულების 7.2 პუნქტის მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს უფლება აქვს მოთხოვოს შემსყიდველს პირგასამტეხლო ჩასარიცხი თანხის 0,5%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს მოხდა შემსყიდველისაგან დამოუკიდებელი მიზეზით.
8.8 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებლის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.
9.2 მიმწოდებელი ვალდებულია შეატყობინოს შემსყიდველს ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი, ხოლო

შემსყიდველმა აცნობოს მიმწოდებელს ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება და ამოქმედების თარიღი.
9.3 ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
9.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
9.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:
ა) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში;
ბ) მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების გაფორმებიდან სამუშაოების დაწყების 10 (ათი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში.
გ) მიმწოდებლის მიერ სამუშაოს საბოლოო შესრულების ვადის 15 (თხუთმეტი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში.
დ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
9.6 ამ მუხლის 9.5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულება, მიმწოდებლისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხის გადახდის შემდეგ.
9.7 ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია აგრეთვე მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობებით.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ფორსმაჟორი - სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, საბოტაჟი ან სხვა საწარმოო არეულობა, სამოქალაქო მღელვარება, ომი, ბლოკადა, აჯანყება, მიწისძვრა, მეწყრების ჩამოწოლა, ეპიდემია, წყალდიდობა და სხვა მსგავსი მოვლენები, რომელიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს და რომელთა თავიდან აცილებაც მათ მიერ შეუძლებელია.
10.2 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.
10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.
10.4 იმ შემთხვევაში თუ ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, იცვლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

11. უსაფრთხოება და გარემოს დაცვა

11.1 მიმწოდებელმა სამუშაოების განხორციელების განმავლობაში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის და არსებული ნორმების შესაბამისად, უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად.

11.2 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს სამუშაო ადგილის ფარგლებში გარემოზე ეკოლოგიური ზემოქმედების, მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტვრის გავლენის მინიმუმამდე დაყვანა.
11.3 მიმწოდებელი საქართველოში ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვასთან დაკავშირებით მოქმედი კანონების და ნორმების შესაბამისად ვალდებულია მიიღოს უსაფრთხოების აუცილებელი ზომები მშენებლობის ზონაში ხანძრის გაჩენის და აფეთქების თავიდან ასაცილებლად.
11.4 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები შეასრულოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი უსაფრთხოების ნორმების დაცვით. აღნიშნულ ნორმათა დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ყოველ კონკრეტულ დარღვევაზე დაეკისრება შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული ჯარიმა.
11.5 ჯარიმის გადახდა მიმწოდებელს არ ათავისუფლებს დარღვევის აღმოფხვრისაგან.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
12.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება (მათ შორის მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტა) უნდა გაფორმდეს წერილობით - მხარეთა შეთანხმების სახით და დანართის სახით უნდა დაერთოს ხელშეკრულებას. მხარეთა წერილობითი შეთანხმება ცვლილების თაობაზე, ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13.უფლებების გადაცემა

13.1 ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებეულებების მთლიანი ან ნაწილობრივი უფლება-მოვალეობების გადაცემა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით (შემსყიდველი - მიმწოდებელი - მესამე პირი).

14.ღირებულების შეცვლის პირობები

14.1 მხარეთა შეთანხმებით დასაშვებია ხელშეკრულების საერთო ღირებულების შეცვლა.
14.2 ხელშეკრულების ღირებულების პარამეტრების (ერთეულის ფასის) შეცვლა დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
14.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.
14.4 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა ფორმდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების სახით.

15. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

15.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ტელეფონის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.
15.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

16. სადაო საკითხების გადაწყვეტა

16.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ მათ შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით.
16.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების თაობაზე შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.
16.3 ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებებით გათვალისწინებული ვალდებულებების დაცვა და ამ უფლებების გამოყენების პროცესში წარმოშობილი დავების მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.
16.4 ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.
16.5ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

17. სხვა პირობები

17.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
17.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
17.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

18. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
მთაწმინდის რაიონის გამგეობა
ს/კოდი: 204521954
მის: ძმ. ზუბალაშვილების ქ. №48.
ხაზინის ერთიანი ანგარიში
სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი TRESGE22

გელა არჩვაძე

მიმწოდებელი:

შპს „ჯი ენ ელ“, ს/ კოდი: 405008290,
მის: ქ. თბილისი, ბუდაპეშტის ქ. N6, ბ. N52
სს „თი ბი სი ბანკი“
ა/ა № GE35 TB 7039 6360 8010 0006
ბანკის კოდი TBCBGE22

დავით ჯიმშელეიშვილი

ქ. თბილისში, ნ. ბაშალეიშვილის I ჩიხი N10-ში ხანძრისაგან დაზიანებული
სახლის კაპიტალური შეკეთების სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა

№	სამუშაოების, რესურსების დასახელება	განზ-ბა	ნორმატიული რესურსი		მასალა		ხელფასი		ტრანსპორტი და მანქანა-მექანიზმები		ჯამი
			ერთეულ	სულ	ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ	ერთ. ფასი	სულ	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
1	ხის ხარაჩოების მოწყობა დაშლა	100 მ²		0,4000							
	შრომის დანახარჯი კ=1.2 (46. მ11.13-ა,გ)	კაც/სთ	45,8000	30,2280			6,00	181,37			181,37
	მანქანები	ლარი	0,2300	0,1518					3,20	0,49	0,49
	ხარაჩოს ლითონის დეტალები	ტონა	0,0370	0,0148	1520,0	22,5					22,50
	ხის დეტალები	მ³	0,0060	0,0024	460,00	1,10					1,10
	ფარი ფენილის	მ²	1,2000	0,4800	30,00	14,4					14,40
2	დაზიანებული ჭერისა და დათბუნების დემონტაჟი	100 მ²		0,4500							
	შრომის დანახარჯი კ=1.2 (46. მ11.13-ა,გ)	კაც/სთ	110,0000	65,3400			6,00	392,04			392,04
	მანქანები	ლარი	10,3000	6,1182					3,20	19,58	19,58
3	ნალესის მოხსნა	100 მ²		1,4000							
	შრომის დანახარჯი (46მ3.1 კ=1.2)	კაც/სთ	18,6000	42,9660			4,60	197,64			197,64
	მანქანები	ლარი	0,1600	0,3696					3,20	1,18	1,18
4	დაზიანებული იატაკის დემონტაჟი (I ფენა)	100 მ²		0,3500							
	შრომის დანახარჯი კ=1.2	კაც/სთ	110,0000	50,8200			6,00	304,92			304,92
	მანქანები	ლარი	10,3000	4,7586					3,20	15,23	15,23
5	ღიობების დემონტაჟი	100 მ²		0,2640							
	შრომის დანახარჯი კ=1.2 (46. მ11.13-ა,გ)	კაც/სთ	170,0000	59,2416			6,00	355,45			355,45
	მანქანები	ლარი	9,8400	3,4290					3,20	10,97	10,97
6	სამშენებლო ნაგავის დატვირთვა ხელით ავტოთვითმცლელებზე	ტ		38,0000							
	შრომის დანახარჯი	კაც/სთ	0,5300	26,5848			4,60	122,29			122,29
7	სამშენებლო ნაგავის გაზიდვა ავტოთვითმცლელებით 30 კმ-მდე მანძილზე	ტ		38,0000					11,2	425,60	425,60
8	ღიობის მოჩარჩოება ლითონის კონსტრუქციებით	ტ		0,1220							
	შრომის დანახარჯი კ=1.2 (46. მ11.13-ა,გ)	კაც/სთ	100,0000	20,1300			4,60	92,60			92,60
	მანქანები	ლარი	30,5000	6,1397					3,20	19,65	19,65
	ლითონის კუთხოვანა L80X80X7	ტ	პროექ.	0,1000	1560,0	156,00					156,00
	არმატურა A-III	ტ	პროექ.	0,0110	1050,0	11,55					11,55
	სხვა მასალები	ლარი	4,5700	0,9199	3,20	2,94					2,94
9	ხის კარის მოწყობა	კვ.მ.		5,7000							
	შრომითი რესურსები	კაც/სთ	1,1600	6,6120			6,00	39,67			39,67
	მანქანები	ლარი	0,1300	0,7410					3,20	2,37	2,37
	ხის კარის ბლოკი	კვ.მ.	1,0000	5,7000	120,00	684,00					684,00
	კარის რკინა-კავეული	კომპ.	პროექ.	4,0000	14,00	56,00					56,00
	სხვა ხარჯები	ლარი	0,0206	0,1174	3,20	0,38					0,38
10	ხის ფანჯრების მოწყობა	100 მ²		0,0400							
	შრომის დანახარჯი	კაც/სთ	404,0000	16,1600			6,00	96,96			96,96
	მანქანები	ლარი	13,2000	0,5280					3,20	1,69	1,69

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
	ხის ბლოკი შუშაბანდის	$მ^2$	100,0000	4,0000	120,00	480,00					480,00
	ლარტყა III ხარ. 50-60 მმ	$მ^3$	0,2300	0,0092	403,00	3,71					3,71
	თამასა ხის	მ	416,0000	16,6400	3,00	49,92					49,92
	რკინა-კავეული	კომპლ	პროექ.	4,0000	14,00	56,00					56,00
	სხვა მასალები	ლარი	4,0000	0,1600	3,20	0,51					0,51
11	მეტალოპლასტიკის კარის მონტაჟი	კვ.მ.		4,1000							
	შრომითი რესურსები	კაც/სთ	2,7200	11,1520			6,00	66,91			66,91
	მეტალოპლასტიკის კარის ბლოკის ღირებულება	კვ.მ.	1,0000	4,1000	155,00	635,50					635,50
12	მეტალოპლასტმასის ფანჯრების მოწყობა	კვ.მ.		12,6000							
	შრომითი რესურსები	კაც/სთ	2,7200	34,2720			6,00	205,63			205,63
	მეტალოპლასტიკის ფანჯრის ბლოკის ღირებულება	კვ.მ.	1,0000	12,6000	125,00	1575,0					1575,00
13	თაბაშირ-მუყაოს შეკიდული ჭერის მოწყობა ლითონის კარკასზე	მ2		45,0000							
	შრომის დანახარჯები	მ2	1,0000	45,0000			6,00	270,00			270,00
	სხვა მანქანა	ლარი	0,0400	1,8000					3,20	5,76	5,76
	თაბაშის მუყაო ლითონის კარკასით	მ2	1,0300	46,3500	9,00	417,15					417,15
	სხვა მასალა	ლარი	0,4050	18,2250	3,20	58,32					58,32
14	ჭერის დაშპაკვლა და შეთეთრება	100კვ.მ.		0,4500							
	შრომითი რესურსები	კაც/სთ	85,6000	38,5200			6,00	231,12			231,12
	მანქანები	ლარი	1,2000	0,5400					3,20	1,73	1,73
	საღებავი	კგ	63,0000	28,3500	4,80	136,08					136,08
	წებოვან-ზეთოვანი საფითხნი	კგ	92,0000	41,4000	3,00	124,20					124,20
	სხვა ხარჯები	ლარი	1,8000	0,8100	3,20	2,59					2,59
15	კედლების შელესვა ქვიშაცემენტის ხსნარით	100 $მ^2$		1,4000							
	შრომის დანახარჯი (46მ3.1 კ=1.2)	კაც/სთ	57,4000	132,5940			6,00	795,56			795,56
	ხსნარის ტუმბო 3 მ3/სთ	მანქ/სთ	2,4000	5,5440					6,92	38,36	38,36
	სხვა მანქანები	ლარი	2,1000	4,8510					3,20	15,52	15,52
	ქვიშაცემენტის ხსნარი მოსაპირკეთებელი 1:1	$მ^3$	პროექ.	4,2000	113,00	474,60					474,60
16	კედლების დაშპაკვლა და შეღებვა წყალემულსიური საღებავით	100კვ.მ.		1,4000							
	შრომითი რესურსები	კაც/სთ	65,8000	92,1200			6,00	552,72			552,72
	მანქანები	ლარი	1,0000	1,4000					3,20	4,48	4,48
	საღებავი	კგ	63,0000	88,2000	4,80	423,36					423,36
	წებოვან-ზეთოვანი საფითხნი	კგ	79,0000	110,6000	3,00	331,80					331,80
	სხვა ხარჯები	ლარი	1,6000	2,2400	3,20	7,17					7,17
17	ლამინატის იატაკის მოწყობა	კვ.მ.		45,0000							
	შრომითი რესურსები	კაც/სთ	1,2900	58,0500			6,00	348,30			348,30
	მანქანები	ლარი	0,0340	1,5300					3,20	4,90	4,90
	ლამინატი	კვ.მ.	1,0150	45,6750	23,00	1050,53					1050,53
	პლინთუსი	გრძ.მ.	1,0700	48,1500	2,50	120,38					120,38
	სხვა ხარჯები	ლარი	0,1820	8,1900	3,20	26,21					26,21
18	სხვენში თბოსაიზოლაციო შრის მოწყობა მინაბამბით (ჭერის დათბუნება)	100კვ.მ.		0,3800							
	შრომითი რესურსები	კაც/სთ	100,0000	38,0000			4,60	174,80			174,80
	მინაბამბა უფოლგო, სისქით 5სმ	კვ.მ.	110,0000	41,8000	1,70	71,06					71,06

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
	მინაბამბა ფოლგიანი, სისქით 5სმ	კვ.მ.	110,0000	41,8000	2,37	99,07					99,07
	სხვა ხარჯები	ლარი	0,1800	0,0684	3,20	0,22					0,22
19	სხვენის შეფიცვრა (ზედა მხრიდან)	კვ.მ.		35,0000							
	შრომითი რესურსები	კაც/სთ	0,2400	8,4000			6,00	50,40			50,40
	მანქანები	ლარი	0,0225	0,7875					3,20	2,52	2,52
	ფიცარი ჩამოგ. სისქ.25მმ (მშრალი)	კუბ.მ.	0,0262	0,9170	508,00	465,84					465,84
	სხვა ხარჯები	ლარი	0,0128	0,4480	3,20	1,43					1,43
	ელექტროგაყვანილობა										
20	**ფარი 6 ჯგუფიანი. შემყვანზე 2-ფაზა ავტომატური გამომრთველით 25ა, ხოლო ჯგუფებში ერთი ავტომატური გამომრთველით 6ა**	ც		1,0000							
	შრომის დანახარჯები	კაც/სთ	7,2400	7,2400			6,00	43,44			43,44
	ფარი 6 ჯგუფიანი	ც	1,0000	1,0000	90,00	90,00					90,00
	სხვა მასალა	ლარი	3,8400	3,8400	3,20	12,29					12,29
21	**საშტეფსელო როზეტი ორპოლუსიანი დამამიწებელი კონტაქტით**	ც		5,0000							
	შრომის დანახარჯები	კაც/სთ	0,1860	0,9300			6,00	5,58			5,58
	საშტეფსელო როზეტი მესამე დამამიწებელი კონტაქტით	ც	1,0000	5,0000	7,00	35,00					35,00
	სხვა მასალა	ლარი	0,0960	0,4800	3,20	1,54					1,54
22	**ერთპოლუსიანი გამომრთველი ერთკლავიშიანი**	ც		3,0000							
	შრომის დანახარჯები	კაც/სთ	0,1860	0,5580			6,00	3,35			3,35
	გამომრთველი	ც	1,0000	3,0000	3,50	10,50					10,50
	სხვა მასალა	ლარი	0,0960	0,2880	3,20	0,92					0,92
23	**ერთპოლუსიანი გამომრთველი ორკლავიშიანი**	ც		2,0000							
	შრომის დანახარჯები	კაც/სთ	0,1860	0,3720			6,00	2,23			2,23
	გამომრთველი	ც	1,0000	2,0000	4,80	9,60					9,60
	სხვა მასალა	ლარი	0,0960	0,1920	3,20	0,61					0,61
24	**განშტოების კოლოფი**	**ცალი**		**5,0000**							
	შრომითი რესურსები	კაც/სთ	1,6900	8,4500			4,60	38,87			38,87
	სხვა მასალა	ლარი	0,2370	1,1850	3,20	3,79					3,79
	მანქანები	ლარი	0,0230	0,1150					3,20	0,37	0,37
	განშტოების კოლოფი	ცალი	1,0000	5,0000	1,00	5,00					5,00
25	**სანათი ვარვარების ნათურით 100ვტ**	**ცალი**		**4,0000**							
	შრომითი რესურსები	კაც/სთ	0,6100	2,4400			4,60	11,22			11,22
	სხვა მასალა	ლარი	0,3400	1,3600	3,20	4,35					4,35
	მანქანები	ლარი	0,2500	1,0000					3,20	3,20	3,20
	კედლის ვარვარა ნათურიანი სანათი	ცალი	1,0000	4,0000	6,00	24,00					24,00
	ვარვარების ნათურა 100 ვტ	ცალი	1,0000	4,0000	0,50	2,00					2,00
26	**ჭერის ჩაფლული სანათი 30 ვტ**	**ცალი**		**4,0000**							
	შრომითი რესურსები	კაც/სთ	0,6100	2,4400			4,60	11,22			11,22
	სხვა მასალა	ლარი	0,3400	1,3600	3,20	4,35					4,35
	მანქანები	ლარი	0,2500	1,0000					3,20	3,20	3,20
	ჭერის ჩაფლული სანათი	ცალი	1,0000	4,0000	8,00	32,00					32,00
	ვარვარების ნათურა 100 ვტ	ცალი	1,0000	4,0000	3,00	12,00					12,00

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
27	**სპილენძის ძარღვიანი კაბელები**	გრძ.მ		60,0000							
	შრომის დანახარჯები	კაც/სთ	0,1100	6,6000			4,60	30,36			30,36
	სხვა მანქანა	ლარი	0,0027	0,1620					3,20	0,52	0,52
	მასალა:										
	სპილენძის ძარღვიანი ორმაგიზოლაციანი კაბელი კვეთით 3X2,5მმ2	გრძ.მ		60,0000	1,53	91,80					91,80
	ჯამი:										**13101,24**
	ზედნადები ხარჯები	10%									1310,12
	ჯამი:										14411,36
	მოგება	8%									1152,91
	ჯამი										15564,27
	გაუთვალისწინებელი ხარჯები	3%									466,93
	ჯამი										16031,20
	დ.ღ.გ.	18%									2885,62
	სულ ხარჯთაღრიცხვით										**18916,81**
	შესრულებული სამუშაოს ექსპერტიზის ღირებულება	2,8%									**529,67**
	მთლიანი ღირებულება										**19446,49**

შემსყიდველი:

გელა არჩვაძე

მიმწოდებელი:

დავით ჯიმშელეიშვილი